

პაციენტის უსაფრთხოების დაცვის წესების შესწავლა

ნინო გიორგაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის

სკოლაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამაჯანდაცვის პოლიტიკადამენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა,

მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2015

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ია ადგიშვილი

ხელმოწერა

თარიღი

აბსტრაქტი

შესავალი:“პაციენტის უსაფრთხოება“ არის სამედიცინო დაზიანების, დაინფიცირების, მავნე გვერდითი მოვლენების ან სხვა ზიანის მიყენების შემცირება მასზე მკურნალობისა და ზრუნვის პერიოდში. მკურნალობის პროცესით (და არა თავად ავადმყოფობით) მიყენებული ზიანის მიზეზები და გამოსავალი მეტად მრავალფეროვანია. ხშირად იგი უმნიშვნელო ან პაციენტისთვის შეუმჩნეველია; ზოგჯერ კი იწვევს ინვალიდობას, იშვიათად სიკვდილსაც კი. კვლევის მიზანია პაციენტის უსაფრთხოების დაცვის წესების შესწავლა სამედიცინო დაწესებულებაში და ამ მხრივ არსებული პრობლემების გამოვლენა.**მეთოდოლოგია:**რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში განხორციელდა სამედიცინო

პერსონალთა გამოკითხვასპეციალური სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით.

შედეგები, ინტერპრეტაცია:გამოკითხვამ აჩვენა, რომ თანამშრომლები ერთმანეთს ეხმარებიან, განსაკუთრებით კი მაშინ როდესაც კლინიკის რომელიმე ნაწილი ძალიან დატვირთულია. ასევე მაღალი აღმოჩნდა ურთიერთპატივისცემი დამოკიდებულება თანამშრომლებს შორის. მაგრამ ამავდროულად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გარკვეული განყოფილებები თანამშრომლების დეფიციტს განიცდიან და დამატებითი დროით ხშირად უწევთ მუშაობა. ასევე გარკვეული ნაწილი ფიქრობს რომ მათ მიერ დაშვებული შეცდომები მათსავე საწინააღმდეგოდ გამოიყენება და მათ პირად საქმეში ინახება. როგორც თანამშრომლები ფიქრობენ მათ კლინიკაში არ არსებობს პაციენტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები და პაციენტის უსაფრთხოების დონე მაღალია. გამოკითხვით დადგინდა რომ მათი უფროსი/ზედამხედველი ყოველთვის აღნიშნავს სიტყვიერად, როცა ხედავს რომ სამუშაო სრულდება პაციენტის უსაფრთხოების სრული დაცვით. და ასევე იმას რომ ყოველთვის ყურადღებით ეკიდება თანამშრომლის მიერ მიწოდებულ აზრს პაციენტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ასევე დადგინდა, რომ თუ რაიმე ახალი ინერგება კლინიკაში ეს ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება და

ხელმისაწვდომია თანამშრომლებისთვის. ამავდროულად თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ მათ არ შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ზემდგომი პირების ქმედებები, ან დასვან შეკითხვები მაშინ როცა ფიქრობენ რომ რაიმე სწორად არ მიდის. თანამშრომლები აღნიშნავენ რომ ისინი კოორდინირებულად მუშაობენ და არ ექმნებათ პრობლემა ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით სხვადასხვა განყოფილებებს შორის. დასკვნა, რეკომენდაციები: ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კლინიკის გარკვეულ განყოფილებებში, პერსონალი აღნიშნავს გარკვეულ პრობლემებს. პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგი პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ. უნდა მოხდეს პერსონალის დატვირთვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.